

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია **მეცნიერული ალტერნატივა**ს მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

This policy brief is also available in English

წყლის სექტორი: თანამედროვე ინსტიტუციური მოწყობა და რეგულირების მექანიზმები

რეზიუმე

საქართველოში წყლის მართვის სისტემა, ძირითადად, გასული საუკუნის 90-იან წლების მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. 2005 წლის შემდეგ სისტემამ ეტაპობრივად განიცადა ცვლილებები; ბოლო მასშტაბური ცვლილებები 2011 წლის მარტში განხორციელდა. წარმოდგენილ საჯარო პოლიტიკის ნარკვევში განხილულია ბოლო წლებში საქართველოს წყლის სექტორში განხორციელებული მარეგულირებელი ჩარჩოსა და ინსტიტუციური მოწყობის რეფორმის შედეგად მიღებული სურათი; ასევე გაანალიზებულია, თუ რამდენად უწყობს ხელს ამჟამინდელი ინსტიტუციური მოწყობა და რეგულირების ინსტრუმენტები წყლის სექტორში ეროვნული პოლიტიკის მიზნების მიღწევას. ნარკვევის დასასრულს წარმოდგენილია რეკომენდაციები პოლიტიკის მიზნების მისაღწევად გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შესახებ.



Kingdom
of the Netherlands

დაფინანსებულია
საქართველოში ნიდერლანდების
სამეფოს საელჩოს მიერ

1. ეროვნული პოლიტიკის მიზნები წყლის სექტორში

საქართველოს ეროვნული პოლიტიკა წყლის შესახებ, რომელიც მრავალრიცხოვანი საკანონმდებლო აქტებით არის წარმოდგენილი, მოკლებულია ერთიანი ხედვის არსებობას, თანმიმდევრულობასა და შედეგზე ორიენტირებულობას. წყლის რესურსების მართვის მიზნები და ამოცანები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. გარდა ამისა, წყლის პოლიტიკის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი დოკუმენტები პრაქტიკულად უმოქმედოა იმის გამო, რომ ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემაში და სხვა მონათესავე კანონმდებლობაში განხორციელებული რეფორმების შემდეგ მათი განახლება არ მომხდარა.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოს მთავრობას ადებული აქვს ვალდებულება გარემოს დაცვის და მათ შორის, წყლის სექტორში საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის მოთხოვნებს მიუახლოვოს. საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნულ პროგრამაში¹ მოცემულია ევროკავშირის ის კონკრეტული დირექტივები წყლის სექტორში, რომლებთან მიახლოებაც მიჩნეულია პრიორიტეტულად. ევროკავშირის მიდგომებთან და პრინციპებთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით, საქართველოში ჯერჯერობით ხელშესახები ნაბიჯების განხორციელება ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის დირექტივებში მოცემული მოთხოვნები, ჰარმონიზაციის პროგრამის მიხედვით, ფორმალურად დეკლარირებულია როგორც სავალდებულო და ამრიგად, ეროვნული პოლიტიკის მიზნებს წარმოადგენს.

ქვემოთ წარმოდგენილია ჰარმონიზაციის პროგრამაში წყლის სფეროში პირველი რიგის პრიორიტეტად მიჩნეული ევროკავშირის ექვსი დირექტივა:

1. წყლის ჩარჩო დირექტივა (2000/60/EC);
2. დირექტივა სასმელი წყლის შესახებ (98/83/EC);
3. დირექტივა სარეკრეაციო წყლების შესახებ (2006/7/EC);

1 საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა, სახელმძღვანელო პრინციპები სამოქმედო გეგმისათვის, 2003

4. დირექტივა მნიშვნელოვანი ავარიული დაბინძურების კონტროლის შესახებ (96/82/EC);
5. დირექტივა დაბინძურების ინტეგრირებული პრევენციის და კონტროლის შესახებ (2008/1/EC);
6. დირექტივა მუნიციპალური ჩამდინარე წყლების შესახებ (91/271/EEC).

მომდევნო თავებში მიმოხილულია, თუ რამდენად უზრუნველყოფს, უკანასკნელ წლებში განხორციელებული მარეგულირებელი და ინსტიტუციური მოწყობის რეფორმირების შემდეგ, საქართველოში წყლის მართვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა და ორგანიზაციული მოწყობა ზემოთ ჩამოთვლილი დირექტივებით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

2. წყლის მართვის ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში

საქართველოში წყლის მართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები გაბნეულია სხვადასხვა უწყებებს შორის სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე, თუმცა წყლის მართვა ძირითადად ცენტრალიზებულად ხორციელდება. ამასთან, წყლის მართვის სფეროში ფუნქციები და პასუხისმგებლობები ყოველთვის არ არის მკაფიოდ გაწერილი და ხშირია ურთიერთგადაფარვებიც. ბოლო წლებში ადგილი ჰქონდა წყლის მართვის სხვადასხვა ფუნქციის გადატანას ერთი უწყებიდან მეორეში. უფრო მეტიც, გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციის შემდეგ, როცა ბუნებრივი რესურსების მართვა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კომპეტენციაში გადავიდა, ბუნდოვანი გახდა წყლის, როგორც ბუნებრივი რესურსის მართვის ბედი.

ამჟამად წყლის მართვის სფეროში მთავარი ორგანო **გარემოს დაცვის სამინისტროა**. სამინისტროს პრეროგატივაა წყლის დაცვა და მართვა, ასევე წყლის მონიტორინგი და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება. თუმცა, მიწისქვეშა წყლებით სარგებლობის ლიცენზირების კომპეტენცია 2008 წელს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ხოლო 2011 წელს **ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს** გადაეცა.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო ადგენს გარემოს ხარისხობრივ ნორმებს, მათ შორის, სასმელი, ზედაპირული, მიწისქვეშა და სანაპირო წყლებისათვის. სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი **სოფლის მეურნეობის სამინისტროს** პასუხისმგებლობაა. **რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო** ახორციელებს რეგიონული განვითარების პოლიტიკას. მისი კომპეტენციაა წყალმომარაგების სექტორის რეაბილიტაცია-განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია; წყლით უზრუნველყოფის განვითარების ხელშეწყობა და კოორდინაცია და მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა. 2009 წელს შეიქმნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული წყლით უზრუნველყოფის რეგიონული განვითარების სააგენტო, რომელიც განიხილებოდა როგორც ქვეყანაში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების განვითარების ხელშეწყობი მაკოორდინირებელი სტრუქტურა. 2010 წელს, ორი მსხვილი რეგიონული წყლის კომპანიის გაერთიანების ბაზაზე, სააგენტო ჩამოყალიბდა როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფო შპს - **“საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია”**. “საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია” ახორციელებს წყალმომარაგებისა და წყალარინების სერვისებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. თბილისში, რუსთავსა და მცხეთაში მსგავს სერვისებს ახორციელებს კერძო კომპანია შპს **“ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი”**. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აგრეთვე მონაწილეობას იღებს წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების და სამელიორაციო სისტემების განვითარების მიმართულებათა განსაზღვრაში და, შესაბამის დაწესებულებებთან ერთად, მათ საინჟინრო უზრუნველყოფას უწევს კოორდინაციას.

საქართველოს **ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოები** პასუხისმგებლები არიან მათ ტერიტორიაზე არსებული წყლის დაცვისა და გამოყენების კონტროლსა და რეგულირებაზე.

თუმცა მათი კომპეტენციები ყოველთვის ნათელი და მკაფიოდ გამოიჯნული არ არის. გარდა ამისა, გამომდინარე იქედან, რომ წყლის მართვა მთლიანად ცენტრალიზებულია, წყლის სფეროში ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციები ძლიერ შეზღუდულია. გარემოს დაცვის სამინისტროს რეგიონული სამმართველოების გაუქმების შემდეგ სამინისტროს რეგიონული რგოლი აღარ გააჩნია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონული სამმართველოების კომპეტენციები და რესურსები ასევე საკმაოდ შეზღუდული იყო.

ფუნქციათა ამგვარი გადაწარმოების ფონზე, წყლის მართვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაცია და თანამშრომლობა საკმაოდ სუსტია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემაში 2005 წელს განხორციელებული რეფორმის შემდეგ გარემოს დაცვის სამინისტროს მარეგულირებელი როლი მნიშვნელოვნად შემცირდა. ხოლო 2011 წელს სამინისტროს რეორგანიზაციამ, რომლის შედეგადაც გარემოს დაცვის სამინისტროს (ყოფილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს) სხვადასხვა კომპეტენციები, მათ შორის ბუნებრივი რესურსების მართვა გადაეცა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (ყოფილი ენერგეტიკის სამინისტრო) კიდევ უფრო დააკნინა და ბუნდოვანი გახდა გარემოს დაცვის სამინისტროს როლი წყლის რესურსების მართვის სფეროში. ბოლო წლებში თანდათან შეიზღუდა გარემოს დაცვის სამინისტროს რეგიონული სამმართველოების როლი და ბოლოს, 2011 წელს საერთოდ გაუქმდა. ეს კი, წყლის რესურსების მართვის დეცენტრალიზაციის თვალსაზრისით, კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი იყო.

ამრიგად, რეორგანიზაციის შემდეგ, გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების საკითხი საკმაოდ ბუნდოვანია. გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის ფუნქცია ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ უწყებას, ბუნებრივი რესურსების სააგენტოს გადაეცა. თუმცა, ამჟამად, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება გააჩნია როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და

ინსპექტირების დეპარტამენტს, ასევე ბუნებრივი რესურსების სააგენტოს.

3. წყლის რესურსების რეგულირების მექანიზმები

წყლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა წარმოდგენილია 15-ზე მეტი კანონით და მრავალრიცხოვანი კანონქვემდებარე აქტით. ქვემოთ მოცემულია დღესდღეისობით ყველაზე მნიშვნელოვანი კანონების მოკლე აღწერა:

- **კანონი „წყლის შესახებ“** წყლის რესურსების მარეგულირებელი ძირითადი ჩარჩო კანონია, რომელიც განსაზღვრავს წყლის დაცვისა და გამოყენების ძირითად საკითხებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „წყლის შესახებ“ კანონი არ მოიცავს წყლის მართვის ყველა ასპექტს, მათ შორის მიწისქვეშა წყლების მართვას, რომელიც წიაღის შესახებ კანონით რეგულირდება.

- **„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის** მიხედვით ამჟამად წყლის გამოყენების მარეგულირებელ ერთადერთ ნებართვად რჩება **გარემოზე ზემოქმედების ნებართვა**. გარდა ამისა, წყლის სფეროში ამჟამად არსებობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია, რომლითაც რეგულირდება მიწისქვეშა წყლების გამოყენება და თევზჭერის ლიცენზია. აღსანიშნავია, რომ 2005 წელს ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემაში განხორციელებული ცვლილებების პარალელურად არ მომხდარა „წყლის შესახებ“ კანონის განახლება, რის გამოც, ის მოძველებული და სრულიად არარელევანტური გახდა. მთლიანობაში, საქართველოს წყლის შესახებ კანონმდებლობა ფრაგმენტული და წინააღმდეგობრივია. იგი არ შეიცვას დაბინძურებისა და წყლის ჭარბი მოხმარების პრევენციის ეფექტურ მექანიზმებს და არ იძლევა წყლის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბების წინაპირობას.

- წყლის ხარისხობრივი ნორმები დადგენილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #279/ნ ბრძანებით „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“. ამ დოკუმენტის პირველი ნაწილი, სასმელი წყლის

მოხმარების შესახებ, ამჟამად ჩანაცვლებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 17 დეკემბრის #349 ბრძანებით „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

- ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ძირითადი წესები დადგენილია საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 1996 წლის 17 სექტემბრის #130 ბრძანებით „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის წესების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს ზედაპირული წყლების დაბინძურების თავიდან აცილების ძირითად პრინციპებს.

- ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმატივების შემუშავებისა და დამტკიცების წესი დადგენილია საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 1997 წლის 29 დეკემბრის #169 ბრძანებით „გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიისა და მიკროორგანიზმებით გარემოს დაბინძურების ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

- „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის მიხედვით, ყველა იმ საქმიანობისათვის, რომელიც არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, სავალდებულოა გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დაცვა, რომლებიც დადგენილია საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის N745 ბრძანებით „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების შესახებ“. ამ დოკუმენტით დადგენილია საწარმოო და არასაწარმოო ობიექტების ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების ტექნიკური რეგლამენტი და ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოდების ტექნიკური რეგლამენტი.

4. ანალიზი

4.1 წყლის მართვა

დღეს საქართველოში წყლის მართვა მკვეთრად ცენტრალიზირებულია, ხოლო წყლის პოლიტიკა არ არის ორიენტირებული კონკრეტული მიზნების და ამოცანების განხორციელებაზე. წყლის შესახებ კანონმდებლობაში მოცემული მიზნები ზოგადია.

კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც ამ მიზნების შესრულებას შეუწყობდა ხელს, არ არის ჩამოყალიბებული. ამასთან, არ არსებობს წყლის ხარისხის მართვის ეფექტური მექანიზმები. წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპები საქართველოს კანონმდებლობაში არ არის გათვალისწინებული და წყლის სააუზო მართვის მოდელზე გადასვლის წინაპირობებიც არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი მონიტორინგის სისტემა მნიშვნელოვან ტექნიკურ გაუმჯობესებას საჭიროებს. საქართველოში დღეს ფიზიკურ-ქიმიური ხარისხობრივი ელემენტების ყოველთვიური მონიტორინგი მხოლოდ 22 მდინარეზე წარმოებს; მაშინ, როდესაც გასული საუკუნის 90-იან წლებში მსგავსი დაკვირვებები 72 მდინარეზე მიმდინარეობდა. სულ საშუალოდ 33 ელემენტის მონიტორინგი წარმოებს. არ იზომება ორგანული ნივთიერებების დიდი ნაწილი და ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მიერ განსაზღვრული თითქმის არცერთი პრიორიტეტული ნივთიერება. ჰიდროლოგიური დაკვირვება წარსულში არსებული 150 სადგურიდან 29 სადგურზე მიმდინარეობს. 7 სადგურის გარდა, რომელთა რეაბილიტაცია და აღჭურვა ახლახანს განხორციელდა, სადგურები არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. საქართველოში ჰიდრობიოლოგიური მონიტორინგი მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს. გარემოს ეროვნული სააგენტო, საერთაშორისო პროექტების ფარგლებში, მუშაობს როგორც აღჭურვილობის, ისე მეთოდოლოგიის გაუმჯობესების კუთხით; თუმცა, წყლის ობიექტების ტიპოსპეციფიკური მახასიათებლების დასადგენად საჭიროა რამოდენიმეწლიანი დაკვირვება და ინფორმაციის მოგროვება.

2005-2006 წლებში ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემის რეფორმირების შემდეგ გაუქმდა წყლის მოხმარების სფეროში არსებული მრავალრიცხოვანი ლიცენზია და ნებართვა. ამჟამად არსებობს მხოლოდ თევზჭერისა და მიწისქვეშა წყლების მოხმარების ლიცენზიები. წყლის ხარისხის და რაოდენობის მართვა ამჟამად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის და გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების საშუალებით ხორციელდება.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ეროვნულ დონეზე გაცივმა, გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ. დღესდღეობით ამ ნებართვის გაცემის სისტემა

სერიოზულ გაუმჯობესებას საჭიროებს (იხ. 4.3 ქვეთავი).

რაც შეეხება წყლის მომსახურების გაწევის ხარჯებს, მათი სრულად ამოღება, როგორც ამას ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივა მოითხოვს, ამჟამად არ ხდება. 2005 წელს ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ არსებული ფინანსური რესურსები არასაკმარისია არსებული წყლის სერვისების შესანარჩუნებლად.² არ არსებობს წყლის სერვისების ტარიფის გაანგარიშების ფორმალური მეთოდოლოგია ან წესი. ტარიფის მომატება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გამო რთულდება. გარდა ამისა, არ მოქმედებს მსოფლიოში გარემოს დაცვის სფეროში მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი - 'დამაბინძურებელი იხდის' პრინციპი. დაბინძურების გადასახადი გაუქმებულია, ზედაპირული წყლის რესურსების მოხმარების მოსაკრებელი კი, პრაქტიკულად უმოქმედოა. კანონის მიხედვით, მოსაკრებლის გადახდას ექვემდებარება წყალსარგებლობის ლიცენზიის მფლობელი.³ წყალსარგებლობის ლიცენზიების გაუქმების შემდეგ კი, მოსაკრებლის ადმინისტრირება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამჟამად საქართველოში არ არსებობს წყლის დაზოგვის წამახალისებელი მექანიზმები.

4.2 სასმელი და სარეკრეაციო წყლები

საქართველოში არ არსებობს ფორმალიზებული პროცედურა, რომელიც სარეკრეაციო წყლების იდენტიფიცირებას, აღწერას და სარეკრეაციო წყლების პროფილების დადგენას უზრუნველყოფს. სარეკრეაციო წყლები იგივე რეგულაციებს ექვემდებარება, რაც ზოგადად ზედაპირული წყლებისათვის არის დადგენილი. საბანაო სეზონის განმავლობაში სარეკრეაციო წყლების ხარისხის მოთხოვნები არ არის განსაზღვრული. მიკრობიოლოგიური მონიტორინგი საქართველოში მხოლოდ ზოგიერთ სარეკრეაციო წყლის ობიექტზე ხორციელდება. მით უფრო, არ ხდება სარეკრეაციო წყლების მდგომარეობის შეფასება და კლასიფიცირება წყლის ხარისხის მიხედვით, როგორც ამას

2 საქართველოს ურბანული წყალმომარაგებისა და წყლის გამწმენდი სისტემების სექტორის ფინანსური სტრატეგია, 2005

3 საქართველოს კანონი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“, 2004 წლის 29 დეკემბერი, მუხლი 3

სარეკრეაციო წყლების შესახებ ევროკავშირის დირექტივა მოითხოვს. შესაბამისად, არ ხდება ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება სარეკრეაციო წყლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საზოგადოების ინფორმირება სარეკრეაციო წყლების ხარისხის, დაბინძურების ხასიათის, მიზეზების და ხანგრძლივობის, შესაძლო საფრთხეებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ დღევანდელი კანონმდებლობით არ რეგულირდება. მოსახლეობის ინფორმირებას ითვალისწინებს რეგულაცია განსაკუთრებულ შემთხვევებში წყალმოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვის წესების შესახებ,⁴ თუმცა, საფრთხის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება თავად წყალმოსარგებლეს ევალება, ხოლო სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან საინფორმაციო საშუალებებით გამოაქვეყნონ მათ მიერ დადგენილი წყალსარგებლობის შეზღუდვის პირობები. ყურადსაღებია, რომ დოკუმენტში მითითებული სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან წყალმომარაგების წყაროებისა და სარეკრეაციო წყლების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის და წყლის ბაქტერიოლოგიური დაბინძურების ხარისხის შეფასებაზე და დაბინძურების არეალის გამოკვლევაზე, ამჟამად აღარ არსებობენ.

4.3 დაბინძურების კონტროლი

ავარიული დაბინძურება

მომეტებული რისკის შემცველი ობიექტების და მათთან დაკავშირებული პროცესების რეგულირება საქართველოში ხდება კანონით „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“. მომეტებული საფრთხის შემცველად ითვლება ისეთი ობიექტები, დანადგარები, მოწყობილობები, პროცესები და ა. შ., რომელიც შეიცავს პოტენციურ ტექნიკურ საფრთხეს და რომელსაც ავარიის ან არასწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში, შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას და გარემოს. ასეთ ობიექტებზე ზედამხედველობას ახორციელებს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია.

ყურადსაღებია, რომ აღნიშნული კანონი, ძირითადად, ტექნიკური ხასიათის ავარიების რისკის მქონე ობიექტებს ეხება და, მნიშვნელოვანი ავარიული დაბინძურების კონტროლის შესახებ ევროკავშირის დირექტივის მსგავსად, არ ითვალისწინებს საშიში ნივთიერებების ემისიებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ავარიების თავიდან აცილებას.

გარდა ამისა, „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს უსაფრთხოების ანგარიშების, ავარიების პრევენციის პოლიტიკის ან საგანგებო სიტუაციების გეგმების მომზადებას და ზოგად მოთხოვნებს უყენებს ობიექტის მფლობელს. ევროკავშირის დირექტივაში მნიშვნელოვანი ავარიული დაბინძურების შესახებ კი, დეტალურად არის გაწერილი ის მინიმალური მონაცემები და ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს ობიექტის მფლობელის მიერ მომზადებული უსაფრთხოების ანგარიში, ავარიების პრევენციის პოლიტიკა და საგანგებო სიტუაციების გეგმები.

ასევე, აღნიშნული დირექტივისაგან განსხვავებით, კანონი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ არ ითვალისწინებს საზოგადოების ინფორმირებას და მზადყოფნის უზრუნველყოფას, ისევე, როგორც მეზობელი ქვეყნებისათვის ინფორმაციის მიწოდებას ტრანსსასაზღვრო ეფექტის მქონე ავარიული სიტუაციების შესახებ. „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის მიხედვით, ობიექტის მფლობელი ვალდებულია ავარიის შესახებ შეატყობინოს მხოლოდ ტექნიკურ და სამშენებლო ინსპექციას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წელს „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის მიღებით, გაუქმდა კანონი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“. ამ კანონის მიზნებს შორის იყო ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა საშიში ქიმიური ნივთიერებების მავნე ზემოქმედებისაგან და საშიში ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენების მართვის დანერგვა. კანონი არეგულირებდა საშიში ქიმიური ნივთიერებების წარმოებას, შენახვას, მოხმარებას და ტექნიკური უსაფრთხოების პირობებზე კონტროლს.

4 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 5 ნოემბრის #308/ნ ბრძანება „განსაკუთრებულ შემთხვევებში წყალმოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვის წესების დამტკიცების შესახებ“

აღსანიშნავია, რომ კანონში „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ გათვალისწინებული იყო საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის საჯაროობის საკითხები. ამასთან, კანონი მოიცავდა საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნებს, მათ შორის, ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნას დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის. კანონი ავალდებულებდა ქიმიური ნივთიერებების მწარმოებელს მოემზადებინა სპეციალური სასწავლო-საინფორმაციო მასალა ქიმიური ნივთიერებების სწორი და უსაფრთხო წარმოების, ტრანსპორტირების, მოხმარების, უსაფრთხოებისა და პროფილაქტიური და სხვა ღონისძიებების შესახებ. თუმცა, აღნიშნული სახის მოთხოვნები ზოგადი ხასიათისა იყო და კანონი არ აკონკრეტებდა თუ რა სახის ინფორმაციის გაცვლა იყო სავალდებულო და რა შემთხვევებში.

კანონის მე-16 თავში მოცემული იყო საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოყენებისას შექმნილი საგანგებო მდგომარეობის თავიდან აცილების ღონისძიებები. კერძოდ, კანონის მიხედვით, იმ ობიექტის ხელმძღვანელები, სადაც საშიში ქიმიური ნივთიერებები გამოიყენებოდა, ვალდებული იყვნენ შეემუშავებინათ შესაძლო ავარიებისა და საგანგებო მდგომარეობათა ნუსხა, მათი შედეგების პროგნოზირებით; ავარიებისა და საგანგებო მდგომარეობისადმი მზადყოფნისა და მოქმედების უზრუნველყოფის ღონისძიებათა, მათ შორის, პერსონალისა და მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის გეგმები; ასევე, საგანგებო მდგომარეობაში მოქმედების გეგმები. გეგმაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო საგანგებო მდგომარეობის შესახებ ავარიული სამსახურის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მოსახლეობის ოპერატიული გაფრთხილების საკითხები. თუმცა, გეგმაში არ იყო გათვალისწინებული კონკრეტული დეტალები, კერძოდ, მნიშვნელოვანი ავარიული დაბინძურების შესახებ დირექტივით გათვალისწინებული ისეთი საკითხები, როგორცაა: შესაძლო ავარიების გამოწვევი მდგომარეობა და მოვლენები, მათი კონტროლის და შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების შემცირების ღონისძიებები; ადრეული შეტყობინების მოქმედებათა აღწერა და სხვ.

კანონის მიხედვით, ავარიის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

ვალდებული იყვნენ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით ფართო საზოგადოებისათვის მიეწოდებინათ ინფორმაცია ავარიის, მისი ხასიათის და მასშტაბის, შესაძლო შედეგების და ამ შედეგების შესამცირებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

„ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონისაგან განსხვავებით, „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ კანონი მოიცავდა იმ ობიექტების ჩამონათვალს, რომლებიც ახდენდნენ ქიმიური ნივთიერებების წარმოებას ან შენახვას, თუმცა, კანონი არ აკონკრეტებდა ამ ობიექტების განსაზღვრის კრიტერიუმებს.

საქართველოს კანონი „ზუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ მიზნად ისახავს საგანგებო სიტუაციის წარმოქმნისა და გავრცელების თავიდან აცილებას, საგანგებო სიტუაციით გამოწვეული ზარალის შემცირებას და ზარალის ლიკვიდაციას. ამ კანონის მიხედვით საწარმოო ობიექტები ვალდებული არიან დაგეგმონ და განახორციელონ საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებები, შეატყობინონ უფლებამოსილ ორგანოებს საგანგებო სიტუაციის შესახებ. კანონი ასევე ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, ისევე როგორც ობიექტის ადმინისტრაცია, ვალდებული არიან მოსახლეობას მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ოპერატიულად და გასაგებად მიაწოდონ ინფორმაცია.

ამ კანონის 27-ე მუხლის თანახმად, მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის #154 დადგენილება „უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“. ინსტრუქციის მოთხოვნები ვრცელდება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე, მათ შორის, ობიექტებზე რომლებიდანაც, ავარიის შემთხვევაში, შესაძლებელია საშიში ქიმიური ნივთიერებების გარემოში მოხვედრა. გასათვალისწინებელია, რომ მათში არ შედის ყველა ის ობიექტი, რომელიც მნიშვნელოვანი ავარიული დაბინძურების შესახებ დირექტივით რეგულირდება. კანონი მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტებს

ავალდებულებს მოამზადონ უსაფრთხოების დეკლარაცია. ამასთან, კანონში დეტალურად არის გაწერილი ის მონაცემები, რომელიც აღნიშნული უნდა იყოს დეკლარაციის სპეციალურ ფორმაში. ეს მონაცემები, მეტწილად, შეესაბამება მნიშვნელოვანი ავარიული დაბინძურების შესახებ ევროკავშირის დირექტივით მოთხოვნილ ინფორმაციას.

უსაფრთხოების დეკლარაციის გეგმები ივსება სამი წლით. ამასთან, არ არის დაზუსტებული უფლებამოსილი ცენტრალური ორგანო, რომელსაც წარედგინება უსაფრთხოების დეკლარაცია. ასევე, არ ჩანს სავალდებულოა, თუ არა ობიექტისათვის უსაფრთხოების გეგმის მომზადება, რადგან დეკლარაციაში არ არის მითითებული არსებობს, თუ არა ასეთი გეგმა. ასევე, არ არის დაზუსტებული არსებობს, თუ არა შესაძლო ავარიის შემთხვევაში მომსახურე პერსონალის შეტყობინების სისტემა, ან მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობის შეტყობინების სისტემა. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოთხოვნებს საწარმოო ობიექტის მიერ აღდგენითი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე. საქართველოს კანონმდებლობა ასევე არ მოიცავს ინსტრუქციებს ტრანსსასაზღვრო ეფექტის მქონე ავარიების შემთხვევაში მოქმედების შესახებ. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 21 მარტის #68 დადგენილება „საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ“ ადგენს ტრანსსასაზღვრო საგანგებო სიტუაციების ცნებას. თუმცა, ასეთი ტიპის საგანგებო სიტუაციებზე შეტყობინების, რეაგირების და შედეგების ლიკვიდაციის შემდგომი მოქმედებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ის საქმიანობები, რომლებიც გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენით ხასიათდება, რეგულირდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვით. ნებართვის მოსაპოვებლად საქმიანობის განმახორციელებლები ატარებენ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზმ). გზმ-ს ანგარიშის ეკოლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე გარემოს დაცვის სამინისტრო გასცემს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას. გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების

თანხმად,⁵ გზმ-ს ანგარიში უნდა შეიცავდეს საქმიანობის შედეგად შესაძლო ავარიული სიტუაციების ალბათობის განსაზღვრას და მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასებას. ასევე, გზმ-ს ანგარიშს უნდა ახლდეს ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების გეგმები. თუმცა, ეს არ გულისხმობს ავარიული სიტუაციების უსაფრთხოების გეგმას, რაც მნიშვნელოვანი ავარიული დაბინძურების შესახებ დირექტივით არის განსაზღვრული. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გზმ-ს ანგარიშებში ავარიული სიტუაციების ალბათობის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმები საკმაოდ სუსტადაა წარმოდგენილი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ მოხდეს დირექტივაში მოცემული მოთხოვნების შესრულება, საჭიროა დირექტივაში მითითებული საქმიანობის ტიპები შესაბამისი რეგულირების ქვეშ მოექცეს. რადგან „ტექნიკური საფრთხის შესახებ“ კანონი და „ზუნდები და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ კანონი არ მოიცავს ყველა იმ ტიპის ობიექტს, რომელიც დირექტივის საშუალებით რეგულირდება, მიზანშეწონილი იქნებოდა, ამ ტიპის ობიექტებისათვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების სექტორული გაიდლაინების მომზადება, რაც უზრუნველყოფდა აღნიშნული საკითხების გზმ-ს ანგარიშში და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობებში სათანადოდ ასახვას.

დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლი

როგორც აღინიშნა, საქართველოში გარემოზე მნიშვნელოვანი პოტენციური ზეგავლენის მქონე საქმიანობები გარემოზე ზემოქმედების ნებართვით რეგულირდება. 2005 წელს საქართველოს ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემაში განხორციელდა რეფორმა, რის შედეგადაც მოხდა გარემოს დაცვის სფეროში ლიცენზიებისა და ნებართვების მკვეთრად შემცირება. რეფორმის მიზანი იყო ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემის გამარტივება და ერთი სარკმლის პრინციპის დამკვიდრება. გარემოზე ზემოქმედების ნებართვით გათვალისწინებული იყო საქმიანობის გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზეგავლენის

5 დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 4 ოქტომბრის ბრძანებით #14

რეგულირება. კერძოდ, ჰაერში ემისიების, წყლანაშვების, წყლის მოხმარების, ნარჩენების წარმოქმნის და ა.შ. ერთი შეხედვით ასეთი ნებართვა გარემოს მართვის მიმართ ინტეგრირებულ მიდგომას გულისხმობს. თუმცა, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის სისტემას მრავალი სისუსტე და ხარვეზი გააჩნია და საბოლოო ჯამში, ვერ უზრუნველყოფს დაბინძურების ინტეგრირებული პრევენციის და კონტროლის შესახებ დირექტივის მოთხოვნების შესრულებას.

პირველ რიგში, ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემის რეფორმის შემდეგ, მნიშვნელოვნად შემცირდა გარემოსდაცვით ნებართვას დაქვემდებარებულ საქმიანობათა ტიპები. კერძოდ, 2007 წლის კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ არ ეხება დირექტივით გათვალისწინებულ მთელ რიგ მნიშვნელოვან საქმიანობებს, როგორცაა: კვების მრეწველობის დარგები, რძის პროდუქტების გადამამუშავება, შინაური ფრინველის ან ღორის ინტენსიური გამრავლების ობიექტები, ხის გადამამუშავება და სხვა. გარდა ამისა, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონში მოცემულ საქმიანობათა ჩამონათვალი ხშირად მსხვილ კატეგორიებს შეიცავს და ნაკლებად დეტალურია. ამის გამო, ხშირად სადაო ხდება ექვემდებარება თუ არა საქმიანობა ნებართვას.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცესში გადაწყვეტილების მიღებისას არ ხდება ისეთი საკითხების გათვალისწინება, როგორცაა დაბინძურების პრევენციის ღონისძიებების და საუკეთესო ტექნოლოგიების გამოყენება, ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმაცია, ენერჯის დაზოგვა, ავარიების პრევენცია და ზიანის მინიმუმაცია, რაც ზემოთხსენებული ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნაა. ასევე, არ ხდება სანებართვო პირობების სრულყოფილად ჩამოყალიბება, რაც პრობლემას ქმნის სანებართვო პირობების კონტროლის ეტაპზე. გარდა ამისა, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის სისტემა არ ითვალისწინებს ტრანსსასაზღვრო დაბინძურების საკითხებს.

არასრულყოფილია საზოგადოების ინფორმირების და მონაწილეობის უზრუნველყოფის საშუალებებიც. კერძოდ, არ არის გათვალისწინებული მოკლე არატექნიკური რეზიუმეს მომზადება გზშ-ში განხილული საკითხების შესახებ. საზოგადოების

ინფორმირება, საჯარო განხილვის მოწყობა და კომენტარების მიღება საქმიანობის განმახორციელებელს ევალება გარემოს დაცვის სამინისტროში ნებართვის მისაღებად განაცხადის წარდგენამდე. ამის შემდეგ, ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების გზით მიმდინარეობს, განსხვავებით 2005 წლამდე არსებული სისტემისა, როცა გარემოსდაცვითი ნებართვა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით გაიცემოდა. მარტივი წარმოება გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა შეზღუდულია და მხოლოდ დაინტერესებული მხარეებისათვის არის შესაძლებელი. შეზღუდული ვადების, საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის კონკრეტული პროცედურის არარსებობის გამო, ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა თითქმის შეუძლებელია. გარდა ამისა, საზოგადოებას არ მიეწოდება ინფორმაცია გაცემული ნებართვის, სანებართვო პირობების და ამ პირობების ნებისმიერი შემდგომი ცვლილების შესახებ, ისევე როგორც, გადაწყვეტილების დასაბუთება და საზოგადოების მონაწილეობის შედეგების აღწერა. ტრანსსასაზღვრო ეფექტის მქონე პროექტების შემთხვევაში მეზობელი ქვეყნებისათვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმი არ არსებობს. ასევე არ არის ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის სანებართვო პირობებით განსაზღვრული მონიტორინგის მონაცემები.

ტექნიკური და ადამიანური რესურსების სიმცირის გამო, სანებართვო პირობების კონტროლი საკმაოდ შეზღუდულად მიმდინარეობს. გარდა ამისა, გარემოსდაცვითი და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობის აღსრულების კონტროლის ფუნქციების ორ უწყებას (გარემოს დაცვის სამინისტროს და ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს) შორის გადანაწილებამ, ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების სააგენტოსა და გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის საქმიანობების გადაფარვა გამოიწვია.

მუნიციპალური ჩამდინარე წყლები

მუნიციპალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან ჩაშვება გარემოზე ზემოქმედების ნებართვით რეგულირდება. გარემოზე ზემოქმედების

შეფასების პროცესში კონკრეტული გამწმენდი ობიექტისათვის უნდა დადგინდეს ჩაშვების ის დასაშვები ნორმები, რომლებიც დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მავნე ნივთიერებების ჩაშვების ზღვრულად დასაშვებ ნორმებს და ზედაპირული წყლების ხარისხობრივ ნორმებს.

საქართველოში ამჟამად არსებული თითქმის ყველა გამწმენდი ნაგებობა გამოსულია მწყობრიდან და არ ფუნქციონირებს. შედეგად, დღეისათვის მუნიციპალური ჩამდინარე წყლები ზედაპირული წყლების დაბინძურების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს. გარდაბანში არსებული ნაგებობა, რომელიც თბილისიდან და რუსთავიდან ტრანსპორტირებული მუნიციპალური ჩამდინარე წყლების გაწმენდას ემსახურება, მხოლოდ პირველად, მექანიკურ გაწმენდას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ჩამდინარე წყლების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთოდ არ უერთდება შემკრებ სისტემას და პირდაპირ ჩაედინება მდინარე მტკვარში. გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის სანებართვო პირობებით გათვალისწინებულია მისი სრული რეაბილიტაცია 2018 წლამდე. თუმცა, ჯერჯერობით სარეაბილიტაციო სამუშაოები არ დაწყებულია.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უფრო მკაცრი სტანდარტების დადგენის შესაძლებლობას სენსიტიური წყლებისათვის. თუმცა, ამ საკითხის გათვალისწინება ხდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცესში. ასევე, მუნიციპალური გამწმენდიდან ჩაშვებული წყლების და მიმდები წყლების მონიტორინგის მოთხოვნები და მით უფრო, შესაბამისი ანგარიშების რეგულარულად გამოქვეყნების ვალდებულება არ არის დადგენილი.

როგორც აღინიშნა, ევროკავშირის დირექტივა მუნიციპალური ჩამდინარე წყლების შესახებ აწესებს მოთხოვნებს ზოგიერთი სამრეწველო სექტორისათვის. კერძოდ, დირექტივის III დანართში მოცემული სამრეწველო სექტორები, რომლებიც ძირითადად ბიოდეგრადირებად, სასუქებით ნუტრიენტებით მდიდარ წყლებს უშვებენ ზედაპირულ წყლებში, უნდა დაექვემდებაროს სპეციალურ რეგულაციებს ან ნებართვებს. ეს სექტორები ძირითადად კვების მრეწველობის დარგებს მოიცავს, რაც საქართველოს კანონმდებლობით გარემოზე ზემოქმედების ნებართვას არ საჭიროებს. შესაბამისად, ამ საქმიანობებს გარემოსდაცვითი ტექნიკური

რეგლამენტები არეგულირებს. თუმცა, აღნიშნული რეგლამენტები ადგენს დგინდება ჩაშვების ერთიან სტანდარტებს საქმიანობის სპეციფიკის, მოცემული გარემოს სენსიტიურობის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინების გარეშე. გარდა ამისა, სრულყოფილად არ სრულდება როგორც გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობები, ასევე ტექნიკური რეგლამენტები.

5. რეკომენდაციები

1. წყლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრის და წყლის რესურსების ეფექტური დაცვის და მართვის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია წყლის სფეროში ერთიანი ჩარჩო დოკუმენტის შექმნა, რომელიც მოიცავს ყველა ტიპის წყლის ობიექტებს, მათ შორის მიწისქვეშა წყლებს.

2. წყლის ხარისხის ეფექტური მართვის განსახორციელებლად საჭიროა ეკოლოგიური ამოცანების შემუშავება თითოეული ტიპის წყლის ობიექტისათვის და წყლის ობიექტების კლასიფიცირება მათი ეკოლოგიური სტატუსის მიხედვით. ამისათვის, აუცილებელია ჰიდროლოგიური და წყლის დაბინძურების მონიტორინგის ფორმალიზებული, გამართული სისტემის ჩამოყალიბება. არსებული მწირი ადამიანური და ტექნიკური რესურსების გათვალისწინებით, შესაძლებელია მიზანშეწონილი იყოს მონიტორინგის იმგვარად დაგეგმვა, რომ მონიტორინგის პროგრამაში უპირველესად ჩართული იყოს სენსიტიური და ყველაზე მეტ ზეგავლენას დაქვემდებარებული წყლის ობიექტები. ასევე აუცილებელია მოხდეს მონიტორინგის მონაცემების ტრანსლირება წყლის ეკოლოგიური სტატუსის მაჩვენებლებში და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა წყლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

3. გაძლიერებას საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის სისტემა. მიზანშეწონილია ინტეგრირებული ნებართვის დადგენა მსხვილი სამრეწველო ობიექტებისათვის და შედარებით გამარტივებული გარემოსდაცვითი ნებართვის დადგენა საშუალო და მცირე სამრეწველო ობიექტებისათვის. ნებართვის გაცემის პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს გამოყენებული ტექნოლოგიების და დაბინძურების პრევენციის

ღონისძიებები. ასევე, უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველყოფა. უნდა შემუშავდეს მექანიზმი ტრანსსასაზღვრო ეფექტის მქონე საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მეზობელი ქვეყნების ჩართვისათვის. გარდა ამისა, საზოგადოებას უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია გარემოს დაცვის სამინისტროში შესული სანებართვო განაცხადის, გაცემული ნებართვის, მისი დასაბუთების, სანებართვო პირობების და სანებართვო პირობების ნებისმიერი ცვლილების და სანებართვო პირობების მონიტორინგის შესახებ. უზრუნველყოფილი უნდა იყოს გზშ-ს და სანებართვო პირობების და გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების სათანადო ინსპექტირება.

4. აუცილებელია, მოგვარდეს ზედაპირული წყლის რესურსების მოხმარებისათვის დაწესებული მოსაკრებლის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პრობლემა.

5. მიზანშეწონილია, რომ მნიშვნელოვანი ავარიული დაბინძურების კონტროლის შესახებ ევროკავშირის

დირექტივაში მითითებული საქმიანობის ტიპებისათვის მომზადდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების სექტორული სახელმძღვანელო მითითებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ავარიების პრევენციასთან და მართვასთან დაკავშირებული საკითხების სათანადოდ გათვალისწინება გზშ-ს ანგარიშებში და სანებართვო პირობებში.

6. შემუშავებული უნდა იქნეს მუნიციპალური ჩამდინარე წყლებით ზედაპირული წყლების დაბინძურების შემცირების მიზნები და საქართველოს დასახლებული პუნქტების ჩამდინარე წყლების შემკრები და გამწმენდი სისტემებით აღჭურვის შესაბამისი პროგრამა.

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მისი ავტორის მოსაზრებებს, გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2012

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74; 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG